

### ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

1. მზღვეველი - სს “სადაზღვევო კომპანია ალფა“;
2. დაზღვევის ხელშეკრულების სახე – ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები /ხელშეკრულება;
3. დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები: დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი მძღოლის ან/და მგზავრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა;
4. აქციის პირობების შესაბამისად, დამზღვევი თავისუფალია სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისგან;
5. სადაზღვევო პრემიის ოდენობა შეადგენს 0 ლარს; აქციის/პოლისის პირობების შესაბამისად, დამზღვევი თავისუფალია სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისგან;
6. ფრანშიზა – 0;
7. სადაზღვევო პერიოდი და დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადა – განაცხადის დაფიქსირების მეორე დღიდან მომდევნო 6 თვის ვადით;
8. სადაზღვევო თანხის ოდენობა – ჯამური ლიმიტი 10 000 ლარი, ქველიმიტი ერთ ადამიანზე 2000 ლარი;
9. გამონაკლისები (შემთხვევები, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას):

წინამდებარე დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი დაკავშირებული შემდეგ გარემოებებთან:

- დამზღვევი არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;
- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ან მესამე პირების (გარდა მგზავრებისა) დაზიანებით;
- დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
- მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ავტომანქანას მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში);
- ადგილი აქვს უბედურ შემთხვევას, დანაკარგს ან დაზიანებას, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტი იმყოფებოდა მართვისათვის გამოუდგარ მდგომარეობაში;
- გარემოებები, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიაწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტი) აღნიშნულის შესახებ;
- დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში და სამაშველო სამსახურში, დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდა (Off Road; Test Drive);

- დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება პოლისში მითითებული მოქმედების არეალის გარეთ;
  - კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
  - ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ტერორიზმი, საზოგადოებრივი არეულობები – ამ გარემოებების დროს დამდგარი ზიანი;
  - თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი აქვს ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისთვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;
  - დამზღვევის/მძღოლის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ: თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით;
  - დამზღვევის/მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად დამდგარი შემთხვევის ხარჯი;
  - შემთხვევა დაკავშირებული დამზღვევის ან მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე.
9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:
- ხელშეკრულების ვადის გასვლა;
  - “მხარეთა” შორის წერილობითი შეთანხმება;
  - ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინება;
  - დამზღვევის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისება.
10. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, დამზღვევს შეუძლია მიმართოს მზღვეველის ხარისხის მართვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:
- წერილობითი პრეტენზია – მომხმარებლის მიერ ივსება საპრეტენზიო განაცხადის სტანდარტული ფორმა, განხილვის მაქსიმალური ვადა 7 (შვიდი) სამუშაო დღე;
  - ელექტრონული პრეტენზია – მომხმარებელი პრეტენზიას აფიქსირებს ელექტრონული წერილის სახით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნის გზით – [ask@alpha.ge](mailto:ask@alpha.ge). განხილვის მაქსიმალური ვადა 7 (შვიდი) სამუშაო დღე;
  - სატელეფონო პრეტენზია – მომხმარებელთა პრეტენზიის განხილვა ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაციის გზით შემდეგ ტელეფონის ნომერზე +995 32 2640 640 მიმდინარედ ხდება მათი პრეტენზიის, უკმაყოფილების დაფიქსირება და საკითხის გარკვევა/დარეგულირება.
11. მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური; ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ. N34, ტელ: +995 32 223 44 10.

ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები /ხელშეკრულება

### პრეამბულა

წინამდებარე პირობები/ხელშეკრულება ეხება სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-სა და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ერთობლივი აქციის მონაწილე მომხმარებლებს; აღნიშნული აქციის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევით სარგებლობას პირი შეძლებს შემდეგ შემთხვევაში: „ვისოლი“-ს ავტოგასამართ სადგურებზე მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ 30 ლარის და მეტი ღირებულების საწვავის შეძენის შემთხვევაში, მას გადაეცემა ფლაერი (საინფორმაციო ბარათი), რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის, რომელიც ფლობს ფლაერს, შემდეგი სახის დაზღვევას საჩუქრად „აღფასგან“ - მძღოლის და ავტომანქანაში მყოფი მგზავრებისათვის უბედური შემთხვევისაგან 6 თვიანი დაზღვევა დაზღვევის ხელშეკრულების/პირობების შესაბამისად; ფლაერის და შესაბამისად დაზღვევის გააქტიურების პროცედურა არის შემდეგი: ფლაერზე დატანილია ფლაერის ნომერი, რომელიც ფიზიკურმა პირმა, რომელიც ფლობს ფლაერს, უნდა მიუთითოს სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ს პორტალზე განაცხადის/აპლიკაციის შევსების დროს, აღნიშნული ნომრის მითითების გარეშე პირი ვერ შეძლებს დაზღვევის განაცხადის შევსებას; განაცხადის შევსების დასრულების შემდგომ, პირი განაცხადში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიიღებს უნიკალურ კოდს, რომლის პორტალზე მითითების შემდეგ შეძლებს დაზღვევის გააქტიურებას; დაზღვევის გააქტიურების შემდეგ პირი მიიღებს სადაზღვევო პოლისის ნომერს და შესაბამისი სადაზღვევო ურთიერთობა დარეგულირდება წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების/ პირობების შესაბამისად. განაცხადის შევსების და დაზღვევის გააქტიურების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

#### 1. ტერმინთა განმარტებები

**მზღვეველი** - სს სადაზღვევო კომპანია ალფა;

**დაზღვევი** - იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, რომლის მძღოლის და მგზავრების ავტოსაგზაო შემთხვევის დროს უბედურის შემთხვევისაგან დაზღვევას ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება;

**მოსარგებლე** - დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი და/ან მგზავრ(ებ)ი, რომელთაც მიადგა ზიანი ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად;

**განაცხადი** - დამზღვევის მიერ მზღვეველის ელექტრონულ გვერდზე ელექტრონული წესით შევსებული განაცხადი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

**სადაზღვევო პოლისი** (შემდგომში „პოლისი“) - წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი. პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**ავტოსატრანსპორტო საშუალება** - დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული, პოლისში მითითებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

**ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი** - ნებისმიერი პირი, რომლის საკუთრებაშია ავტოსატრანსპორტო საშუალება ან მართლობითიერად განაგებს მას;

**დაზღვევის პერიოდი** - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

**სადაზღვევო თანხა (ლიმიტი)** - ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი - 10 000 ლარი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; სადაზღვევო თანხა მცირდება მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურებით.

**სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა ან მომსახურება რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაეცემა მოსარგებლეს.

**საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევა** - ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას და მისი უშუალო მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა, დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი და რომელიც დაფიქსირებულია შსს-ს მიერ;

**უფლებამოსილი მძღოლი** - დამზღვევი ან დამზღვევის ნებართვის/ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგი მძღოლი: მამაკაცი, რომლის ასაკი აღემატება 25 წელს, ქალი, რომლის ასაკი აღემატება 23 წელს, რომელთაც აქვთ მართვის გამოცდილება 1 წელზე მეტი ვადით;

**დაზღვევის პირობები** - წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის შინაარსს და მისი განხორციელების წესებს;

**ტერიტორიული საზღვრები** - საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა;

#### 2. დაზღვევის ობიექტი. ანაზღაურების ფარგლები

2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრ(ებ)ის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა; დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი მძღოლის ან/და მგზავრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მყოფი მძღოლის და/ან მისი მგზავრის/მგზავრების გარდაცვალება და/ან ჯანმრთელობის

მდგომარეობის გაურესება, რაც გამოწვეულია დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად და რომელიც გამოვლინდება ამ შემთხვევიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

2.2. სადაზღვევო პოლისი ფორმდება ავტომანქანაში ადგილების რაოდენობის მიხედვით, სადაზღვევო ლიმიტი დადგენილია თითოეული ადგილისათვის (ერთ ადგილზე/მგზავრზე 2000 ლარის ოდენობით). ამასთან, დაზღვეული ადგილების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობაში და/ან ავტომანქანის სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული ადგილების მაქსიმალურ რიცხვს.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სადაზღვევო პოლისი. წინამდებარე ხელშეკრულება, ელექტრონული განაცხადი და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისი ერთად შეადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას მხარეთა შორის.

2.4. სადაზღვევო ლიმიტი განისაზღვრება 10,000 (ათი ათასი) ლარით; ქველიმიტი ერთ მგზავრზე განისაზღვრება 2,000 (ორი ათასი) ლარით.

2.5. მზღვეველი, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში აუნაზღაურებს მძღოლს/მგზავრს ან მის კანონიერ წარმომადგენელს ხარჯებს ქვემოთ მითითებული სქემის მიხედვით:

- სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებების ხარჯები - ერთ ადამიანზე (მძღოლი, მგზავრი) განსაზღვრული ლიმიტიდან 20%-ს ოდენობით, არსებული ლიმიტის ფარგლებში;
- მძღოლის ან/და მგზავრ(ებ)ის გარდაცვალება - ერთ მგზავრზე განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე განსაზღვრული ლიმიტისა;

სადაზღვევო რისკი	სადაზღვევო ანაზღაურება (გამოთვლება ყოველ/თითოეულ მგზავრზე გათვალისწინებულ სადაზღვევო ლიმიტიდან, %)
<b>ქმედობაუნარიანობის ხარისხის შეზღუდვა</b>	
მკვეთრად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა	100%
მნიშვნელოვნად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა	75%
ზომიერად გამოხატული ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა	50%

- სადაზღვევო ლიმიტი მცირდება მზღვეველის მიერ ანაზღაურებული თანხით, ლიმიტის სრულ ამოწურვამდე.

**3. მხარეთა ურთიერთობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას**

3.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

3.1.1. დამზღვევი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს“ საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2640640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

ბ) დაუყოვნებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია;

გ) არ დაძრას ავტომანქანა შემთხვევის ადგილიდან საპატრულო პოლიციის მისვლამდე, რათა შენარჩუნებული იყოს შემთხვევის პირვანდელი სახე;

დ) ავტომანქანის მძღოლმა ჩაიტაროს ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმება ან/და ალკოტესტით შემოწმება.

ე) არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით. (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო).

3.1.2. დამზღვევი ასევე ვალდებულია უმოკლეს ვადაში:

ა) წარუდგინოს მზღვეველს დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) წარუდგინოს მზღვეველს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, პოლისი, სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის მოწმობა;

გ) წარუდგინოს მზღვეველს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ყველა ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მძღოლის და მგზავრების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლები;

ე) გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში - შესაბამისი დაწესებულებიდან (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა) ოფიციალური დასკვნა.

ო) გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა, “დაზღვეულის” სიკვდილის შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა;

3.1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი დოკუმენტების დამზღვევის მიერ წარმოდგენლობა შეიძლება გახდეს მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძელი.

3.1.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) დამზღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

#### 4. გამონაკლისები

ამ პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისები (გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ იქნება გადახდილი) ეხება დაზღვევის მიუღს ხელშეკრულებას (ხელშეკრულებას და პოლისს):

- 4.1. დამზღვევი არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;
- 4.2. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ან მესამე პირების (გარდა მგზავრებისა) დაზიანებით;
- 4.3. დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
- 4.4. მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 4.5. ავტომანქანას მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში);
- 4.6. ადგილი აქვს უბედურ შემთხვევას, დანაკარგს ან დაზიანებას, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტი იმყოფებოდა მართვისათვის გამოუდგარ მდგომარეობაში;
- 4.7. გარემოებები, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიაწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტი) აღნიშნულის შესახებ;
- 4.8. დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში და სამაშველო სამსახურში, დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდა (Off Road; Test Drive);
- 4.9. დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება პოლისში მითითებული მოქმედების არეალის გარეთ;
- 4.10. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 4.11. ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ტერორიზმი, საზოგადოებრივი არეულობები – ამ გარემოებების დროს დამდგარი ზიანი;
- 4.12. თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი აქვს ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისთვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;
- 4.13. დამზღვევის/მძღოლის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ: თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით;
- 4.14. დამზღვევის/მძღოლის უბეში გაუფრთხილებლობის შედეგად დამდგარი შემთხვევის ხარჯი;
- 4.15. შემთხვევა დაკავშირებული დამზღვევის ან მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე.

#### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

##### 5.1. “მზღვეველი” უფლებამოსილია:

- 5.1.1. წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი სრულად;
- 5.1.2. ამოიღოს ზარალი მესამე მხარისგან (სუბროგაციის უფლება);
- 5.1.3. არ ანაზღაუროს ის სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
- 5.1.4. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე „დამზღვევის“ ან/და „მოსარგებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
- 5.1.5. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება „დამზღვევის“/“მოსარგებლის“ მიერ ან „დამზღვევის“/“მოსარგებლის“ მონაწილეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, არასწორი/ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში;
- 5.1.6. დამზღვევთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ასევე, გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.
- 5.1.7. მზღვეველის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

##### 5.2. “მზღვეველი” ვალდებულია:

- 5.2.1. განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობების შესაბამისად;
- 5.2.2. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

##### 5.3. “დამზღვევი” ვალდებულია:

- 5.3.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოს საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 5.3.2. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს“ საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 5.3.3. არ აიღოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა „მზღვეველთან“ წერილობითი შეთანხმების გარეშე;

5.3.4. მიაწოდოს „მზღვეველს“ აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში „მზღვეველი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;

5.3.5. გააცნოს უფლებამოსილ მძღოლებს წინამდებარე დაზღვევის პირობები;

5.3.6. ხელი შეუწყოს „მზღვეველს“ „სადაზღვევო შემთხვევის“ დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში და „მზღვეველის“ მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტაცია;

5.3.7. დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს „მზღვეველს“ ავტომობილის გამოყენების და დაზღვევის განაცხადში მითითებული სხვა პარამეტრების შეცვლის შესახებ, ასეთ შემთხვევაში „მზღვეველის“ მიერ შესაძლებელია განხორციელდეს პრემიის გადაანგარიშება, სადაზღვევო პირობების შეცვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა.

#### 5.4. „დამზღვევი“ უფლებამოსილია:

5.4.1. მოსთხოვოს „მზღვეველს“, განახორციელოს სადაზღვევო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

5.4.2. მოსთხოვოს „მზღვეველს“ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

#### 6. ორმაგი დაზღვევა

6.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, „მზღვეველი“ გადაიხდის ზარალს პროპორციულად, „მზღვეველის“ სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

#### 7. სუბროგაციის უფლება

7.1. „სადაზღვევო ანაზღაურების“ გაცემის შემდეგ „მზღვეველზე“ ავტომატურად გადადის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც „დამზღვევეს“/„მოსარგებლეს“ გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

7.2. „დამზღვევი“/„მოსარგებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს „მზღვეველს“ ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს „მზღვეველის“ მიერ სუბროგაციის უფლების რეალიზება.

7.3. „დამზღვევის“/„მოსარგებლის“ მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში „მზღვეველს“ უფლება აქვს უარი თქვას „სადაზღვევო ანაზღაურების“ გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

#### 8. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედება იწყება დამზღვევის მიერ მზღვეველის პორტალზე დაზღვევის აქტივაციის და წინამდებარე ხელშეკრულებაზე/პირობებზე თანხმობის ელექტრონულად დადასტურების დღის მომდევნო დღიდან და მოქმედებს 6 (ექვსი) თვის ვადით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადით.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

8.3.1. „მხარეთა“ შორის წერილობითი შეთანხმება;

8.3.2. ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინება;

8.3.3. დამზღვევის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისება.

#### 9. ფორს-მაჟორი

9.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადოს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების) შემთხვევაში.

9.2. „მხარე“, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება „მხარეების“ ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ „მხარეები“ უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

#### 10. დავის გადაჭრა. ზიანის ანაზღაურება

10.1. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, დამზღვევეს შეუძლია მიმართოს მზღვეველის ხარისხის მართვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

- წერილობითი პრეტენზია – დამზღვევის მიერ ივსება საპრეტენზიო განაცხადის სტანდარტული ფორმა, განხილვის მაქსიმალური ვადა 7 (შვიდი) სამუშაო დღე;
- ელექტრონული პრეტენზია – დამზღვევი პრეტენზიას აფიქსირებს ელექტრონული წერილის სახით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნის გზით – [ask@alpha.ge](mailto:ask@alpha.ge) განხილვის მაქსიმალური ვადა 7 (შვიდი) სამუშაო დღე;
- სატელეფონო პრეტენზია – დამზღვევის პრეტენზიის განხილვა ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაციის გზით შემდეგ ტელეფონის ნომერზე +995 32 2640 640 მიმდინარედ ხდება მათი პრეტენზიის, უკმაყოფილების დაფიქსირება და საკითხის გარკვევა/დარეგულირება.

10.2. დამზღვევი უფლებამოსილია ასევე მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ. N34, ტელ: +995 32 223 44 10.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით.

10.4. თითოეული “მხარე” ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**11. დასკვნითი დებულებები**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია განხორციელდეს „მხარეთა“ მიერ გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დამზღვევი მზღვეველს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მზღვეველმა დამზღვევისა და უფლებამოსილი მძღოლების დამატებითი თანხმობის გარეშე, განხორციელოს აღნიშნულ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება თავისი შეხედულებისამებრ და საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე პუნქტში მითითებულ მონაცემთა გადაცემა როგორც საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებისთვის/ორგანიზაციებისთვის; მოიპოვოს დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი ჰქონდეს წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შემთხვევასთან ან/და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან. თავის მხრივ, დამზღვევი ადასტურებს, რომ მიღებული აქვს უფლებამოსილი მძღოლებისგან ზემოაღნიშნული თანხმობა.

11.3. მხარეებს შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზაგზავნის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. მხარეები ვთანხმდებიან, რომ შესაძლებელია დამზღვევეს შეტყობინება გაეგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) სახით, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში მითითებულ ტელეფონის ნომერზე. მოკლე ტექსტური ფორმით გაგზავნილი შეტყობინება არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადო ფორმის დაუცველად გაგზავნილ შეტყობინებად.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულება იდება მესამე პირთა სასარგებლოდ, თქვენ მოპოვებული გაქვთ ყველა აუცილებელი თანხმობა ასეთ მესამე პირ/ებს/ისაგან: (ა) ხელშეკრულების დადებასა და მის/მათ სასარგებლოდ დაზღვევის განხორციელებაზე და (ბ) იმის თაობაზე, რომ ჩვენ სრულად და შეუზღუდავად ვისარგებლოთ წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებით.

11.5. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გაბათილდება, ეს მთელი ხელშეკრულების გაბათილებას არ გამოიწვევს.

- ნებისმიერი საკითხის დაზუსტების/გარკვევის მიზნით გთხოვთ დაუკავშირდეთ სადაზღვევო კომპანია ალფას საინფორმაციო სამსახურს – 032 2 640 640 ;
- წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები მოქმედებს შესაბამის განაცხადთან და სადაზღვევო პოლისთან ერთად.